



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

29 მაისი 2023 წელი

N 14/36

ეგზ.: N 1

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
მიერ განხორციელებული პროექტის –
„მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“
2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის
1 აპრილამდე პერიოდის ფინანსური
აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტი. პროექტს აფინანსებს საქართველოს მთავრობა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

აუდიტი ჩატარდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (SAOG) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში და მოიცავს 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდს.

ფინანსური აუდიტის მიზანი იყო შემდეგი:

- მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, რომ „ხარჯების ანგარიშგება“ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში წარმოდგენილია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, საერთაშორისოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად;
- სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის შეფასება. კონტროლის რისკის შეფასება და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების დადგენა არსებითი სისუსტეების ჩათვლით;
- აუდიტორული პროცედურების ჩატარება იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამება პროექტის ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეთანხმების პირობებს (მხარეთა მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის ჩათვლით) და შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს.

სარჩევი

შემოკლებანი და აბრევიატურები	3
შესავალი	4
აუდიტის მეთოდოლოგია	6
მოსაზრება	7
1. მნიშვნელოვანი გარემოებები	8
2. სხვა საკითხები	9
ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	16
„ხარჯების ანგარიშგება“	18
საკონტაქტო ინფორმაცია	19

შემოკლებანი და აბრევიატურები

გრანტის მიმღები - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;

პროექტი - მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტი;

პროექტის განხორციელების წერილი - წერილი N14. დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროცედურებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს “მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის” განხორციელებასთან დაკავშირებით;

სააგენტო - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;

USAID – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო;

CFR part 200 - აშშ-ს ფედერალური რეგულაციების კოდექსის ნაწილი 200 (U.S. Code of Federal Regulations part 200)

შესავალი

სურსათის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის საფუძველზე.

მცენარეთა დაცვის სფეროში სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;
- მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მცენარეთა კარანტინის ორგანიზება;
- მავნე ორგანიზმის გავრცელებასა და განვითარებაზე დაკვირვება, მავნე ორგანიზმის გამოვლენა და მისი დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა;
- საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხის შემუშავება
- მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელებისა და განვითარების პროგნოზირება და სხვ.

ფიტოსანიტარიული მიმართულებით სისტემური ცვლილებების განხორციელებისა და განვითარების მიზნებისათვის სააგენტო თანამშრომლობს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. დასახული მიზნების მისაღწევად USAID-ისგან სააგენტო იღებს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას.

2015 წლის 22 დეკემბერს საქართველოს და აშშ-ს მთავრობებს შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების საფუძველზე¹ სააგენტოსა და USAID-შორის გაფორმდა ხელშეკრულება² რომლის მიზანი იყო მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის განხორციელება, ჯამური ბიუჯეტით 1,846,250 აშშ დოლარი, საიდანაც USAID-ის დაფინანსება 1,200,000 აშშ დოლარს, ხოლო საქართველოს მთავრობის დაფინანსება 646,250 აშშ დოლარს შეადგენს.

პროექტის მიზანია, მცენარეთა სანიტარული და ფიტოსანიტარიული ფუნქციების შესრულებისას, სააგენტოს და მისი მხარდამჭერი სამთავრობო უწყებების გაუმჯობესებული ადმინისტრაციული, საორგანიზაციო და ტექნიკური უნარების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა.


პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სააგენტოს შესაძლებლობა გამოავლინოს აგრარულ სფეროში არსებული და პოტენციური რისკები მავნებლებთან დაკავშირებით. აღნიშნული, სააგენტოს საშუალებას მისცემს მოახდინოს მავნებლებთან ბრძოლის მიმართულებით მეტად დროული რეაგირება.

აუდიტი მოიცავს 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდს. აღნიშნულ პერიოდში USAID-ის მიერ დაფინანსებულმა ხარჯების ჯამმა 556,330 აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებულმა ხარჯებმა 599,100 აშშ დოლარი შეადგინა.

აუდიტის პერიოდში USAID-ის მიერ დაფინანსებული კვარტალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკში N1.³

¹ გრანტის ხელშეკრულება N: AAG-114-G-16-00002.

გრაფიკი N1: 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდის კვარტალური ფაქტობრივი ხარჯები აშშ დოლარში



აუდიტის პერიოდში USAID-ის მიერ დაფინანსებული ხარჯების შესახებ ინფორმაცია კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N1:

ცხრილი N1: 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდის ფაქტობრივი ხარჯები კლასიფიკაციის მიხედვით აშშ დოლარში.

ხარჯების კლასიფიკაცია	02.02.2021- 31.12.2021	01.01.2022- 01.04.2022
შრომის ანაზღაურება	196 735	32 464
მავენებლების მეთვალყურეობის მასალები (ფერომონები)	189 540	-
ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება	52 151	7 619
სახარჯო მასალები მავენებლების იდენტიფიცირებისთვის	18 195	702
სამეთვალყურეო და მავენებლების რისკის ანალიზის (PRA) პროგრამული უზრუნველყოფა	1 498	-
საზოგადოებასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია	820	585
საერთაშორისო სასწავლო ტური	-	51 746
სინჯის აღება და ლაბორატორიული ანალიზი მავენებლების იდენტიფიცირებისთვის	4 275	-
სულ ხარჯი:	463,214	93,116

² განხორციელების წერილი N14.

³ სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ფორმების მიხედვით.

აუდიტის მეთოდოლოგია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტი ჩაატარა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) და მასზე დაყრდნობით შემუშავებული ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- წინასწარი აუდიტორული პროცედურები;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- დეტალური დაგეგმვა;
- ადგილზე შესასრულებელი სამუშაო;
- დასკვნა და ანგარიშგება.

წინასწარი აუდიტორული პროცედურების ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა შეაფასა „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადების საფუძველი, ასევე ჩაატარა შეხვედრა აუდიტის ობიექტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან. აუდიტორული პროცედურების განხორციელება დაიწყო აუდიტის წერილის საფუძველზე;

სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე აუდიტის ჯგუფის მიერ მოხდა რისკების იდენტიფიცირება და შეფასება. ამასთანავე, შემუშავდა აუდიტის სტრატეგია, რომელიც მოიცავს აუდიტის მასშტაბის, ვადების და მიმართულების შესახებ ინფორმაციას;

დეტალური დაგეგმვის ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა შეაფასა შიდა კონტროლის გარემო, განსაზღვრა შესაბამისი ძირითადი აუდიტორული პროცედურები და მათი ხასიათი, ვადები და მოცულობა;

ადგილზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპზე აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, დოკუმენტური შემოწმების, დათვალიერების, გამოკითხვის, დადასტურების და ისეთი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით, როგორიცაა:

- ძირითადი ანალიზური პროცედურები;
- ელემენტების ტესტები.

აუდიტორული პროცედურების შედეგებიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა შეაფასა უზუსტობები და მოამზადა აუდიტის ანგარიში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

არამოდიფიცირებული მოსაზრება „ხარჯების ანგარიშგების“ შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ ფინანსური აუდიტი 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის.

პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადება წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას. ჩვენი პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე „ხარჯების ანგარიშგებაზე“ მოსაზრების გამოხატვა.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად და აშშ-ის საერთაშორისოდ აღიარებული საჯარო აუდიტის სტანდარტების (GAGAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია არამოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს „ხარჯების ანგარიშგება“ ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეთანხმების პირობების შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ინფორმაციას პროექტის შემოსავლების, გაწეული და ანაზღაურებული ხარჯების, შესყიდული საქონლის და ტექნიკურ დახმარების შესახებ.

ჩვენ ასევე შევაფასეთ პროექტთან დაკავშირებული სააგენტოს შიდა კონტროლის სისტემა და განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა შეთანხმების პირობებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან. შედეგები მოცემულია ცალკე ქვეთავების სახით და წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.

1. მნიშვნელოვანი გარემოებები

1.1 შრომის ანაზღაურებასთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებული არაარსებითი ცდომილებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით:

პროექტის განხორციელების წერილით განსაზღვრულია პროექტის ფარგლებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, პოზიცია და ხელფასის ოდენობები. აუდიტის მიმდინარეობისას გამოვითხოვეთ პროექტში ჩართული ყველა პირის შრომითი ხელშეკრულება და შევადარეთ პროექტის განხორციელების წერილის პირობებს. ასევე, დადგენილი შრომის ანაზღაურების გაცემის წესის შესაბამისად, გადავიანგარიშეთ პერიოდის შესაბამისი შრომის ანაზღაურების ხარჯები და შევადარეთ „ხარჯების ანგარიშგებაში“ ასახულ მონაცემებს. ასევე, „ხარჯების ანგარიშგებაში“ ასახული სხვა მუხლების სისრულისა და სიზუსტის შემოწმების მიზნით, პროექტის განხორციელების შესაბამისი პერიოდის ხაზინის ამონაწერების თითოეული ტრანზაქცია შევადარეთ „ხარჯების ანგარიშგებაში“ ასახულ მონაცემებს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა „ხარჯების ანგარიშგებაში“ არსებული შემდეგი უზუსტობები:

- „ხარჯების ანგარიშგებაში“ ზედმეტად არის ასახული 600 აშშ დოლარის ოდენობის შრომის ანაზღაურების ისეთი ხარჯი რაც რეალურად ანაზღაურებული არ არის. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: პროექტის რეზიდენტი მრჩეველი, რომლის თვითური შრომის ანაზღაურება ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 12,000 აშშ დოლარს, დაინიშნა 2021 წლის 2 თებერვალს. ამავე წლის თებერვალში რეზიდენტი მრჩევლისთვის დარიცხული და ანაზღაურებულია 19 სამუშაო დღის შესაბამისი ანაზღაურება, რამაც შეადგინა 11,400 აშშ დოლარი. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის მიწოდებულ „ხარჯების ანგარიშგებაში“ აღრიცხულია თებერვლის თვის სრული ხელფასი - 12,000 აშშ დოლარის ოდენობით, ნაცვლად რეალურად ანაზღაურებული 11,400 აშშ დოლარისა.
- „ხარჯების ანგარიშგებაში“ არ არის ასახული პროექტის ფარგლებში 2021 წლის 15 ნოემბერს შეძენილი 20 ცალი პლანშეტური კომპიუტერის ღირებულების ანაზღაურებისათვის და კადრების მოძიებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე გადახდილი თანხა ჯამში 4,277 აშშ დოლარის ოდენობით.⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ხარჯების ანგარიშგებაში“ წარმოდგენილი პერიოდის ხარჯები არასწორად არის შემცირებული 3,677 აშშ დოლარის, ხოლო ამავე ანგარიშგებაში ასახული ფულის ნაშთი გაზრდილია 3,677 აშშ დოლარის ოდენობით.

⁴ ანაზღაურებულია 13,433 ლარი, რომლის ეკვივალენტი დოლარში დაფინანსების ბოლო ჩამორიცხვის კურსით შეადგენს 4,277 აშშ დოლარს: პლანშეტების შესყიდვის ღირებულება 13,373 ლარი; კადრების მოძიებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება 60 ლარი.

2. სხვა საკითხები

2.1 შიდა კონტროლის სისტემა, რომელშიც არ აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ ფინანსური აუდიტი 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAIs) და აშშ-ის საერთაშორისოდ აღიარებული საჯარო აუდიტის სტანდარტების (GAGAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელებისას, გავითვალისწინეთ სააგენტოს შიდა კონტროლის გარემო, რომელიც მოქმედებს ფინანსურ აღრიცხვაზე (შიდა კონტროლი), იმისათვის რომ გამოგვეთქვა მოსაზრება „ხარჯების ანგარიშგებაზე“ და არა სააგენტოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

შიდა კონტროლის სისტემაში ხარვეზები არსებობს, მაშინ როდესაც კონტროლის შინაარსი ან საოპერაციო ეფექტიანობა არ აძლევს მენეჯმენტს ან თანამშრომელს, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას თავიდან აიცილოს, გამოავლინოს და გამოსწავროს შეუსაბამოებები დროულად. არსებითი ნაკლოვანება არის ნაკლოვანება ან მათი ერთობლიობა, რომლის შედეგად არსებობს შესაძლებლობა, რომ „ხარჯების ანგარიშგებაში“ არსებითი შეცდომა ვერ იქნება თავიდან აცილებული ან გამოვლენილი და შესწორებული დროულად.

შიდა კონტროლის სისტემა შევადგასეთ ზემოაღნიშნული შეზღუდული მიზნისთვის და არ იყო გამიზნული კონტროლის ყველა ნაკლოვანების აღმოსაჩენად, როგორც ეს აღწერილია მეორე აბზაცში. შედეგად, აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე არ გამოვლენილა შიდა კონტროლის არსებითი ნაკლოვანებები.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შიდა კონტროლის ნაკლოვანებების გარკვეული არაარსებითი შემთხვევები, კერძოდ:

შესრულებული სამუშაოების დოკუმენტების ნაკლოვანება

პროექტის განხორციელების წერილით განსაზღვრულია პროექტის ფარგლებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, პოზიცია და ხელფასის ოდენობები. აუდიტის ჯგუფმა გამოითხოვა დასაქმებულთა მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გამოვლინდა რომ სააგენტოში არ არის შემუშავებული ფორმალიზებული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა პროექტში ჩართული თანამშრომლების მიერ შესრულებულ სამუშაოებს. პროექტის ფარგლებში დასაქმებულ პირებს შევსებული აქვთ მხოლოდ დროის აღრიცხვის ცხრილი, რომელიც მოიცავს ნამუშევარი საათების რაოდენობებს და არ იძლევა ინფორმაციას რეალურად შესრულებული სამუშაოს შინაარსზე. აღნიშნული დროის აღრიცხვის ცხრილები დადასტურებულია ხელმოწერით, რომლის საფუძველზეც ხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს დარიცხვა და ანაზღაურება. ასევე, გრანტის მიმღების ფინანსურ წვლილში სააგენტოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების წილის გაანგარიშება.

შესრულებული სამუშაოების შესახებ ფორმალიზებული დოკუმენტის არსებობა გაამარტივებდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და გრანტის მიმღების ფინანსურ წვლილში ჩათვლილი სააგენტოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესაბამისობის დადგენას პროექტით დასახულ მიზნებთან.

ჩატარებულ ტრენინგებთან/სამუშაო შეხვედრებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

პროექტის განხორციელების წერილის დანართი N1-ით განსაზღვრულია ზოგადი შედეგები, საეტაპო მოვლენები და კონკრეტული საბოლოო შედეგები. შესამოწმებელ პერიოდში საბოლოო შედეგების მისაღწევად ორგანიზებული იყო 10 შეხვედრა - ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებულ ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე განსახილველ/განხილულ საკითხებზე და ასევე, ჩატარებული შეხვედრებით მიღებული შედეგების შესახებ სააგენტოში არსებული დოკუმენტების პრაქტიკა ხასიათდება ნაკლოვანებებით. კერძოდ: სააგენტოში არ არსებობს ჩატარებული შეხვედრების შედეგების ამსახველი შემაჯამებელი დეტალური ანგარიშის შედგენის პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ მივლინების მოსამზადებელ მოხსენებით ბარათებსა და მივლინების ბრძანებებში წარმოდგენილია განსახილველი საკითხების ზოგადი შინაარსი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების და ამ ღონისძიებებით მიღებული კონკრეტული შედეგების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილად დოკუმენტირების გამო, გართულებულია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა პროექტით დასახულ მიზნებთან.

მარაგების ვადიანობის კონტროლის ნაკლოვანება

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში შესყიდულია⁵ მავნებლებზე დაკვირვებისათვის საჭირო ფერომონები და სხვა მასალები. 2021 წელს, გამოცხადებული ტენდერების ფარგლებში შესყიდული მავნე მწერების ფერომონიანი დამჭერები მოწოდებულია ამავე წლის ივნისი-ივლისის პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ბალანსზე ნაშთად რიცხული ფერომონების ვადიანობის შესახებ სხვადასხვა წყაროებში ფიქსირდება განსხვავებული თარიღები. კერძოდ: სააგენტოს მიმწოდებლის, შპს „ნოვაგროს“ მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში წარდგენილი ფასების ცხრილის მიხედვით, ფერომონების ვარგისიანობის ვადა შეადგენდა 2022 წლის მარტი-მაისის პერიოდს, შპს „ნოვაგროს“ მიმწოდებლებისგან⁶ მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით ფერომონები ვარგისია 2024 წლის მაისის ჩათვლით, ხოლო ფერომონების შეფუთვაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით პროდუქცია ვარგისია 2023 წლის მაისის ჩათვლით.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მაისის მდგომარეობით სააგენტოს მიერ, გამოყენებულია შესყიდული საქონლის მცირე რაოდენობა. კერძოდ, მთლიანი მოცულობის 16.1%. ინფორმაცია შესყიდული და ნაშთად რიცხული ფერომონების შესახებ მოცემულია ცხრილში N2.

⁵ NAT210006271, NAT210006270, NAT210007895 და NAT210008602.

⁶ ფერომონების მწარმოებელი კომპანიები

ცხრილი N2: ინფორმაცია შესყიდული და ნაშთად რიცხული ფერომენიანი დამჭერების შესახებ 2022 წლის მაისის მდგომარეობით:

ტენდერი	ფერომენი	შესყიდული		ნაშთად რიცხული		ათვის ების %
		რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	
NAT21000 6271	ამბროზიის ხოჭოს ფერომენი	1 000	52 231	881	46 016	11.9%
NAT21000 6270	ციტრუსოვანთა აზიური ხარაბუხას ფერომენი	1 000	73 637	830	61 119	17.0%
NAT21000 7895	ხმელთაშუა ზღვის ნაყოფის ბუხის ფერომენი	1 000	49 800	848	42 230	15.2%
NAT21000 7895	აღმოსავლური ხილის ბუხის ფერომენი	1 000	49 800	786	39 143	21.4%
NAT21000 8602	ფრთალაქიანი დროზოფილას ფერომენი	1 000	52 510	848	44 528	15.2%
		5 000	277 978	4 193	233 036	16.1%

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შესყიდული ფერომენების ათვისება 2022 წლის მაისის მდგომარეობით დაბალია, ხოლო ფერომენების ვადებთან დაკავშირებით წარმოდგენილია განსხვავებული ინფორმაცია, არსებობს რისკი, რომ ფერომენების გამოყენება სრულად ვერ მოხდება პროდუქციის ვადის გასვლამდე.

სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული მარაგების გამოყენება იგეგმება პროდუქციის ვადის გასვლამდე.

რეკომენდაცია N1 - სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, შესყიდული მარაგების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მნიშვნელოვანია დაადგინოს შესყიდული ფერომენების ვარგისიანობის რეალური ვადები და მათი გამოყენება მოხდეს შესაბამის თარიღებამდე. ამასთანავე დანერგოს შესყიდული პროდუქციის ვადებზე სათანადო კონტროლის მექანიზმები.

2.2 შეთანხმების პირობებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გარეშე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული და USAID-ის მიერ დაფინანსებული მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგების“ ფინანსური აუდიტი 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ მხარეთა მიერ განხორციელებული ფინანსური წვლილის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად და აშშ-ის საერთაშორისოდ აღიარებული საჯარო აუდიტის სტანდარტების (GAGAS) მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით აუდიტს ვგეგმავთ და ვატარებთ დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად, რომ „ხარჯების ანგარიშგებაში“ არ არის ის არსებითი უზუსტობები, რომლებიც გამოწვეულია შეთანხმების პირობების, მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შეუსაბამობით.

შეთანხმების პირობებთან, კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის დაცვა სააგენტოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა. დასაბუთებული

რწმუნების მისაღებად ჩატარდა პროცედურები შეთანხმების პირობებთან, კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის იმ ნაწილის დასადასტურებლად, რომლებსაც გავლენა ჰქონდა „ხარჯების ანგარიშგებაზე“. აუდიტის მიზანი არ იყო მოსაზრების გამოხატვა სრული შესაბამისობის შესახებ, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ ასეთ მოსაზრებას.

აუდიტის პროცედურების შედეგად გამოვლინდა, ამ აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შეუსაბამობის არაარსებითი შემთხვევები, რომლებიც განხილულია ქვემოთ:

2.2.1 შეთანხმების პირობებთან შესაბამისობა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გარეშე

აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა განხორციელების წერილით განსაზღვრული ყველა მოვალეობა, რომლებიც უნდა შეესრულებინა სააგენტოს. ასევე შემოწმდა ყველა დოკუმენტი, წარდგენილი ფორმა და კორექტიონები იმისათვის, რომ დადასტურებულიყო განხორციელების წერილის პირობებთან შესაბამისობა.

პროექტის განხორციელების წერილის მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობები

განხორციელების წერილის მიხედვით კვარტალური მუშაობის ანგარიშები გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 30 დღის ვადაში. ხოლო წლიური ანგარიში ინიციატივის წლის დასრულებიდან 90 დღის ვადაში.

გრანტის მიმღების მიერ 2021 წლის მესამე კვარტალის ანგარიში, 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის ოქტომბრის პერიოდისათვის, წარდგენილია 28 დღის დაგვიანებით.

ინფორმაციის დაგვიანებით წარდგენამ, შესაძლოა შეაფერხოს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ პროექტზე ეფექტური ზედამხედველობის შესაძლებლობა.

გრანტის მიმღების თხოვნის შემთხვევაში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შესაძლოა გასცეს ავანსი მომდევნო 30 დღის განმავლობაში განსახორციელებელი საქმიანობების დასაფინანსებლად. საავანსო ანაზღაურების მოთხოვნის ფორმა⁷ მომდევნო თვისთვის წარდგენილი უნდა იყოს მიმდინარე თვის 10 რიცხვამდე.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაფინანსების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის თარიღები 2021 წლის მაისიდან - 2022 წლის მარტის ჩათვლით არ შეესაბამება განხორციელების წერილით დადგენილ ვადებს. ინფორმაცია დაფინანსების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის ვადების დარღვევებზე წარმოდგენილია ცხრილში N3.

⁷ ანაზღაურების მოთხოვნის ფორმა 1034.

ცხრილი N3. ინფორმაცია დაფინანსების მოთხოვნის ფორმების გაგზავნის ვადების დარღვევებზე.

პერიოდი	ვადა	წარდგენის თარიღი	ვადაგადაცილება (დღეები)
2021 მაისი	10.04.2021	19.05.2021	39
2021 ივლისი	10.06.2021	01.07.2021	21
2021 აგვისტო	10.07.2021	23.08.2021	44
2021 ოქტომბერი	10.09.2021	15.10.2021	35
2021 დეკემბერი	10.11.2021	06.12.2021	26
2022 ივნისი	10.12.2021	31.12.2021	21
2022 მარტი	10.02.2022	21.03.2022	39

ინფორმაციის დაგვიანებით წარდგენამ შესაძლოა გამოიწვიოს შემდგომი აქტივობების განხორციელებისთვის დაფინანსების მოპოვების დაგვიანება და შესაბამისად პროექტის დროულად განხორციელების შეფერხება.

შეუსაბამობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონთან:

2.2.2

**კანონმდებლობასთან
შესაბამისობა,
მნიშვნელოვანი
ნაკლოვანებების გარეშე**

აუდიტის პერიოდში სააგენტომ სულ გააფორმა 25 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. აქედან, 11 ხელშეკრულება – ელექტრონული ტენდერით, რომლის ფარგლებშიც გადახდილია 214,080 აშშ დოლარი⁸, ხოლო 14 ხელშეკრულება – გამარტივებული შესყიდვის წესით, რომლის ფარგლებშიც გადახდილია 8,107 აშშ დოლარი.⁹

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს.

შესწავლის შედეგად, რამდენიმე შესყიდვის შემთხვევაში გამოვლინდა შეუსაბამობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნებთან მიმართებით, რაც დეტალურად აღწერილია ქვემოთ:

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება მიმწოდებლის შერჩევას,¹⁰ რა დროსაც მონაწილე პირი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.¹¹

ფაქტობრივი გარემოება: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სატრენინგო მომსახურების გაწევაზე, 2021 წლის 2 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან¹² დაკავშირებით ვერ დასტურდება, სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლების მიერ, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის გაფორმება.

დასკვნა: შესყიდვის განხორციელების პროცესში არ არის გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობა, რაც დაკავშირებულია შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირების მხრიდან, შერჩეულ მიმწოდებლებთან ურთიერთდამოკიდებულების¹³ არარსებობის დადასტურებას.

⁸ ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 678,543 ლარი.

⁹ ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 25,453 ლარი.

¹⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

¹¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹² CMR210095318 - ხელშეკრულება N209/2021.

¹³ „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-19 მუხლით დადგენილი ურთიერთდამოკიდებული პირები.

შესყიდვების სისტემის მოდულში დაგვიანებით ატვირთული დოკუმენტაცია

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რეგისტრირდება CMR-ში,¹⁴ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.¹⁵

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტოს თანამშრომლებისათვის სატრენინგო მომსახურების გაწევაზე, 2021 წლის 3 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან¹⁶ დაკავშირებული, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი, რომელიც ხელმოწერილია ხელშეკრულების გაფორმების თარიღით, სისტემის მოდულში ატვირთულია 2022 წლის 25 ნოემბერს.¹⁷

დასკვნა: შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი დოკუმენტის ანგარიშგებასთან მიმართებით, სააგენტოს მიერ, განხორციელებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა

კრიტერიუმი: იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით.¹⁸

ფაქტობრივი გარემოება: მცენარეთა დაავადებების გამომწვევი მავნე ორგანიზმების გამოსავლენი ტესტების შესყიდვაზე 2021 წლის 19 მაისს გამოცხადებული ტენდერის¹⁹ ფარგლებში, პრეტენდენტის²⁰ მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი არ მოიცავდა ინფორმაციას მოსაწოდებელი პროდუქციის ვარგისიანობის ვადების თაობაზე, რაც, სატენდერო დოკუმენტაციის²¹ მიხედვით, უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2022 წლამდე. სატენდერო კომისიის მიერ აღნიშნული ფასების ცხრილი მიჩნეულია რელევანტურად და მოთხოვნილი არ არის დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა. საბოლოოდ, მხარეების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სწრაფი ტესტების გამოყენების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2022 წლამდე, რითაც მიმწოდებლის მიერ აღებულია ვალდებულება, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობის შესრულებაზე.

დასკვნა: სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი მიჩნეულია გამარჯვებულად და მასთან გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რაც მიუთითებს სატენდერო კომისიის არასრულყოფილ ქმედებებზე. ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდული, განკუთვნილი გამარტივებული შესყიდვებისთვის.

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული - „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების“ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶ CMR210135546 - ხელშეკრულება N361/2021.

¹⁷ დოკუმენტი, სისტემაში ატვირთულია, აუდიტის ჯგუფის მიერ, აღნიშნული შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები.

¹⁹ NAT210008896.

²⁰ შპს „ნოვაგრო“ - მიჩნეულია გამარჯვებულად და მასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

²¹ პუნქტი 1.7.1 - სწრაფი ტესტების გამოყენების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2022 წლამდე, რომელიც მითითებული უნდა იყოს ფასების ცხრილში.

ტენდერში მონაწილე სხვა პირების მიერ, სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება, რაც თავის მხრივ განაპირობებს განსახორციელებელი შესყიდვების დროში გაჭიანურებას.

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების არასათანადოდ განსაზღვრა

კრიტერიუმი: შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.²² სატენდერო კომისია, ყოველი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს. რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.²³ მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრავს სატენდერო კომისია, უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს პროპორციული და ხელს უწყობდეს ჯანსაღ კონკურენციას.²⁴

ფაქტობრივი გარემოება: პროექტის მიმდინარეობის პერიოდში USAID-სა და NFA-ს შორის გაფორმებული განხორციელების წერილის შესაბამისად შესყიდულია მავნებლებზე დაკვირვებისათვის საჭირო ფერომონები და სხვა საჭირო მასალები.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მოსაწოდებელი პროდუქციის ხარისხის შესაბამისობის დადგენის მიზნით, პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამეცნიერო სტატია ან სტატიის ბმული, რაც დაადასტურებდა ფერომონების არანაკლებ 12 და 4 კვირიან ეფექტურ მოქმედებას.²⁵ სტატიების სამეცნიერო ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილი არ ყოფილა.

ტენდერებში გამარჯვებული პირის²⁶ მიერ წარმოდგენილი და/ან საიტებზე ატვირთული სტატიები, მათი განთავსების მისამართებისა და/ან ფორმიდან გამომდინარე არ იძლევა რწმუნებას მათ სამეცნიერო სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მათ რელევანტურობაზე, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნასთან მიმართებით.

დასკვნა: სააგენტოს მიერ შესყიდულ ფერომონებთან დაკავშირებით ვერ დასტურდება, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სამეცნიერო სტატიებთან დაკავშირებული პირობის და მის დასადასტურებლად პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობა.

სააგენტოს განმარტებით, აუდიტის შესამოწმებელი პერიოდის შემდგომ გამოცხადებულ ანალოგიურ ტენდერებში შეიცვალა ტექნიკური მოთხოვნები და დადგინდა სტატიების სამეცნიერო ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

²² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N12-ით დამტკიცებული - „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N12-ით დამტკიცებული - „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁵ 12 კვირიანი მოქმედება - NAT210006271, NAT210006270, NAT210007895 ტენდერები, 4 კვირიანი მოქმედება - NAT210008602

²⁶ შპს „ნოვაგრო“

ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების
ვალდებულებები
„ხარჯების
ანგარიშგებასთან“
დოკუმენტთან
დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მიღებული დაფინანსების შესაბამისი „ხარჯების ანგარიშგების“ და იმ განმარტებითი შენიშვნების მომზადებაზე, რომლებიც აღწერს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება „ხარჯების ანგარიშგების“ მომზადებისას.²⁷ ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი „ხარჯების ანგარიშგების“ მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

**აუდიტორის
პასუხისმგებლობა
„ხარჯების
ანგარიშგებასთან“
დაკავშირებით**

ჩვენ პასუხისმგებლობაა მოსაზრების გამოხატვა „ხარჯების ანგარიშგებაზე“. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს, რომ ჩვენ ვასრულებთ ეთიკურ მოთხოვნებს, ვგეგმავთ და ვახორციელებთ აუდიტს, რათა მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ „ხარჯების ანგარიშგება“ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა „ხარჯების ანგარიშგება“ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით და GAGAS-ების მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარებული აუდიტი, ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ხარჯების ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად და GAGAS-ების მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ „ხარჯების ანგარიშგებაში“ არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

²⁷ CFR 200.504 – Point 2.

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სააგენტოს უნარში, განაგრძოს ფუნქციონირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სააგენტოს ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ ხარჯების ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ხარჯების ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სააგენტოს ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ხარჯების ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.




აუდიტორები

ანა ბურდიაშვილი
უფროსი აუდიტორი

მამუკა გოგოხია
წამყვანი აუდიტორი

ირაკლი პეტრიაშვილი
უფროსი აუდიტორი

ხელმოწერა

„ხარჯების ანგარიშგება“

მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივის პროექტის „ხარჯების ანგარიშგება“ 2021 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 1 აპრილამდე პერიოდისთვის (აშშ დოლარი).

მუხლი	შეთანხმებული ბიუჯეტი	ფაქტობრივი შემოსავალი და ხარჯი	პრობლემური ხარჯები		შენიშვნა
	02/02/2021 - 01/04/2023	02/02/2021 - 01/04/2022	არანებ ადართ ული	დოკუმენ ტაციის არ მქონე	
შემოსავლები					
USAID-ის დაფინანსება		763 708			
პროექტის შემოსავალი		-			
საპროცენტო შემოსავალი		-			
სულ შემოსავლები		763 708			
ხარჯები					
შრომის ანაზღაურება	360 699	229 199		600	
პროექტის აქტივობის ხარჯი	288 351	112 923			
შესყიდვები	550 950	214 207			
სულ ხარჯი	1 200 000	556 329			
ფულის ნაშთი		207 379		600	

შენიშვნა: „ხარჯების ანგარიშგებაში“ არ არის ასახული პროექტის ფარგლებში 2021 წლის 15 ნოემბერს შეძენილი 20 ცალი პლანშეტური კომპიუტერის ღირებულების ანაზღაურებისათვის და კადრების მოძიებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე გადახდილი თანხა ჯამში 4,277 აშშ დოლარის ოდენობით.

ამასთანავე, აღსანიშნავია, მომზადებული ხარჯების ანგარიშგება არ მოიცავს ახსნა-განმარტებით შენიშვნებს თითოეულ მნიშვნელოვან მუხლთან მიმართებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE